ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9

29 იანვარი

"---"-------- 2016 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საუნივერსიტეტო დასახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქ.თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 29 ოქტომბრის №50 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 იანვრის №04/1158 წერილის (AR1358828) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საუნივერსიტეტო დასახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1358828 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ტყემალაძე**



განაშენიანების ფართობი და განაშენიანების ინტენსივობის მაჩვენებლები

სექტორი / ზონა	მაჩვენებელი	ფართობი	კოეფიციენტი
სექტორი 1 — საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)	განაშენიანების ფართობი	7740	0,5
	ტერიტორიის ფართობი	15485	
	ფართი გარე კონტურებში	46460	3,0
	ტერიტორიის ფართობი	15485	
სექტორი 2 — საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)	განაშენიანების ფართობი	8370	0,5
	ტერიტორიის ფართობი	16748	
	ფართი გარე კონტურებში	41870	2,5
	ტერიტორიის ფართობი	16748	
სექტორი 3 — საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)	განაშენიანების ფართობი	5230	0,5
	ტერიტორიის ფართობი	10472	
	ფართი გარე კონტურებში	15710	1,5
	ტერიტორიის ფართობი	10472	
სექტორი 4 — საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)	განაშენიანების ფართობი	11820	0,5
	ტერიტორიის ფართობი	23255	
	ფართი გარე კონტურებში	35470	1,5
	ტერიტორიის ფართობი	23255	
სექტორი 5 — საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)	განაშენიანების ფართობი	63800	0,6
	ტერიტორიის ფართობი	112688	
	ფართი გარე კონტურებში	102070	0,9
	ტერიტორიის ფართობი	112688	
სექტორი 6 — საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2)	განაშენიანების ფართობი	9830	0,5
	ტერიტორიის ფართობი	19656	
	ფართი გარე კონტურებში	15730	0,8
	ტერიტორიის ფართობი	19656	
სექტორი 7 — საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)	განაშენიანების ფართობი	12290	0,5
	ტერიტორიის ფართობი	24571	
	ფართი გარე კონტურებში	51600	2,1
	ტერიტორიის ფართობი	24571	
სექტორი 8 — საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)	განაშენიანების ფართობი	10680	0,5
	ტერიტორიის ფართობი	21346	
	ფართი გარე კონტურებში	44830	2,1
	ტერიტორიის ფართობი	21346	
სექტორი 9 — საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)	განაშენიანების ფართობი	12490	0,5
	ტერიტორიის ფართობი	24977	
	ფართი გარე კონტურებში	37470	1,5
	ტერიტორიის ფართობი	24977	
სექტორი 10 — საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)	განაშენიანების ფართობი	21130	0,5
	ტერიტორიის ფართობი	42222	
	ფართი გარე კონტურებში	147780	3,5
	ტერიტორიის ფართობი	42222	
სექტორი 11 — საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1)	განაშენიანების ფართობი	5330	0,5
	ტერიტორიის ფართობი	10656	
	ფართი გარე კონტურებში	31970	3,0
	ტერიტორიის ფართობი	10656	
სექტორი 12 — საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)	განაშენიანების ფართობი	1267,5	0,5
	ტერიტორიის ფართობი	2535	
	ფართი გარე კონტურებში	7098	2,8
	ტერიტორიის ფართობი	2535